


# ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ


ՑԱԳՈՐԾՆԵ № 199

დამატების № 36

ბერძ, 1 ოქტომბერი 1915 წ.



„.... ასევენია ცხედარი სამშობლოს აღორძინების ქურუმისა სამუ-  
დამოდ დახუჭულია მისი სააგვევნო თვალები მოლოდ ზეცი-  
ური სახე მისი, მარადისობის უციით გაგრძელებული მოგვაგო-  
ნებს პირველ ძრისტიან პატრიარქთა და მოციქულთა სახეს. თეო-  
რი თბა და წერ-ულვაჲი ვერცხლისცერ ნათელსა კუნძ სახეს,  
რომელზედაც აღგეზდილია საშდავო გვეიღობა და ურყოველი  
სიმტკიცე...“



აკაკი სტუდენტობის დროს.

## ՅԵՒՅԵԼՈՐ ԵԲԵԿՈՐ

( ପ୍ରକାଶନ ପତ୍ର )

4.

ფიქრმა წაიღო მღვდლის ჯალაბი. არეგებებიდა მას ქმრის  
ხასათი და ცხოვრების გზა, ამ ბოლოს დროს სრულიად არ მოს-  
წონდა იგი. აგერ რამდენი წელიწადი იყო, მასთანა ცხოვრობდა  
ქალი, მაგრამ ვერ შესჩევოდა მის ქცევას, ვერ შეეგნო მისი რშეე-  
ნა, ვერც აზრი მისის ყოფისა. არ ეთანხმებოდა ქმრის აზრები ქა-  
ლის ფიქრებს, ვერ დაპირობიყო ქალი კაცსგან არეულს კვლს  
არსებობისას, ვერ შესთვისებოდა მისი რშეენა და ბუნება ქმრის შე-  
ხედულობას. ქალს გულს უმღვრევდა ის უდიერობა, რომელსაც იჩნ-  
და მღვდელი მრევლის მიმართ, მეტადრე გაშინ, თუ საჭმე შეეხებო-  
და შესაძენს და მოსანაგრებელს, და ის გარეწრობა, რომელიც ემ-  
ჩნებოდა მის მოქმედებას ეკლესიისა თუ საეკლესიო წესების შესახებ.  
ღარიბისა და ბერავს არას დროს არ აპატიებდა ის შემოსატანს, საპ-  
ყარსა და საწყალს ლუკმას არ მიუჟრობდა, ღატაკ ნათესავს თუ  
ნაცნობს სახლში არ გაპპალებდა; ვერცხლის ბჭყვრიალს თვალი მო-  
ეწრა მისთვის, თრთოლვა მოსდიოდა მის ხილვაზე; შეირი თვალი  
ეჭირა ყველაფერზე, საიდანაც კი თუნდ მცირედ რასმე სარგებელს  
გამოელოდდა. დიასახლისი იყო მარინე და თავის საკუთარ სახლში  
თავისუფლად ვერ განძრეულიყო ქმრის შიშით, მცირედი სურვილის  
ასრულებაც ვერ გაებედნა: ყველაფერში ანგარიში უნდა მიეცა ქმრი-  
სათვის, კველა წვლილსა და უმნიშვნელოში. არა, მის მამის სახლში  
სულ სხვა სახე ჰქონდა ცხოვრებას. დიასახლისს მეტადრე ის აღო-  
ნებდა, რომ ამ ყველეულს სასტიქმა ყაირაომა და შეძლებისადმი  
მისწავებამ მთლად ამოაშრო ოჯახში გულუბრყვილ სიამე, თუნდ  
წამიერი კაცულთანება და სიხარული. სინათლე და ლიმილი განდევ-  
ნა სახლიდან ამ უგულო ლტოლვილებამ, დრტვინვა და უზომო სი-  
ხარებ გაამეფა კერაზე. ის იყო დიასახლისისათვის უფრო ძნელი,  
რომ ბოლო არ უჩანდა ამ უკაცურ ყოფას, რადგან დვრიტა მაინც  
სქლად არ ედებოდა ოჯახის ქონებას, თვალსაჩინოდ ვერ იზრდებო-  
და სახლის სიმდიდრე. ქალი გრძნობდა, რომ თვით ამ საანგარო  
მოქმედებისათვისაც კი არ იყო კაცის მოქმედება მარჯვედ მოაზრე  
ბული და მიზან შეწონილი, ალლოთი მიშვდარიყო ამას მარინე, თუმ



## აკაკი ახალგაზღობაში.

ცა განსაზღვრილი სახე ვერ მიეცა თვის ამ ბუნდოვან გრძნობისა-  
თვეს.

— საზიარებლად ეძახიან მღვდელს და როგორ შეიძლება მის-  
გან დაზარება ან საშოგარზე ფიქრი ამ საშინელს წამს?! როგორ  
შეიძლება ჯავრობა, ან ჭირისუფლის გთავასირება?! კაცს მამაკვდავი  
შინ დაუტოვებია, მოსულა და გვეღრება აზიარო უკანასკნელი ნუ-  
გეში წაუმდლვარო საუკუნოდ მიმავალს, შენ კი აყვნებ, უარზედა  
სდგეხარ და უშერთიალებ. როგორი ღა მოძღვარი ხარ და მამა სუ-  
ლიერი?! ზიარება უკანასკნელი სასოებაა სულთმობრძავისა, წმიდა  
ნაწილმა უნდა განაშოროს მის უბადრუკ სულს ეშმა, რომელიც მარ-  
ცხნით კერძო მიახლებია ამომავალ სულს და შიშის ზარსა სცემს  
მას, აძრწუნებს ფრიად; იქსოს სისხლმა და ხორცმა უნდა დაახლო-  
ვოს მასთან მარჯვენით მდგარი ანგელოზი კეთილი, რომ მან უპყრის  
ხელი სულს წარმავალს და წარუძლვეს მას დიდს და საზარელ გზას  
ჰაერთა ზინა. როგორ შეიძლება ამ საშინელს წამს ყველრება ან  
ყოყმანი?! პაპა-ჩემი სრულდებით ეგრე არ იქცევიდ. ან როგორ შე-  
ეძლო მას უკერად მოპყრობოდა გაჭირვებულს, როდესაც ის თი-  
თონ იზიარებდა დაზარალებულის ტანჯვას, როდესაც თითონაც  
ცრემლით ტიროდა ჭირისუფლის ტირილზე. საყდარშიც მოწიწებით  
და გრძნებით იკოდა ლოცვა. რამდენჯერ ასთროლებია ხმა გულ-

\* , იბ. სურათებისანი დამატება № 35



## პოლკოვკოვნიკი მიქელაშე (მოკლულია)



სატექნიკო საკითხავების დროს და მის ცრემლს მთელი საყდარი აუქციონისგან განსაზღვრავთ.

და გადაიტანა ქალი ფიქრმა თავის მამის ოჯახში. მოაგონდა,  
როგორ უამბობდა ხოლმე მას მისი პაპა სულის ამოსვლის ამბავს,  
მის მოგზაურობას იმ ქვეყნად და ჰაერთა თანა ძრომას საშინელს.

— რა მთახლოვდების უამი ცოდვილის სიკედილისა, განელება  
ბქე ჯოჯოხეთისა და მუნით მოევლინება უბადრუებს ეშმა ბილწი,  
რომელსა აქვს ხელთა შინა მახვილი ცეცხლისა. და მოესმის მომა-  
კვდავს ხმა მქუჩარი: ვათარკა არაოდეს განმისცენ სულმ მაგისძან,  
ნუკა შეგ შეიწყალებ მას! მაშინ ეშმა ჩასცემს ღახვარს ცეცხლისასა  
პირსა შინა, მრავლებზის სტანჯავს მას გვამსავე შინა და მერმელა  
აღმოსშედის სასტანჯობითა. მხოლოდ ზიარება შეუმსუბუქებს მომა-  
კვდავს ტანჯვას. უკანასკნელს. ამისთვის არის, რომ მღვდელი უნდა  
ისწრაფოდეს აზიაროს მომაკვდავი. როგორ ღა შეიძლება აქ მრის-  
ხანება ან დაყოვნება ხანისა?!

— ზიარებისავე მადლი უძღვის სულს უზადრუქს და ყოვლად შეძრუნებულს საყდრამდე მეუფისა მართლმსაჯულებისა. თანაპკევება სული შეძრუნებული ანგელოსს წინამდლვარს. დაპკევებიან მას საშინელო მცენლი ჰაერისანი, რათა წარიტაცონ იგი. გარდაუშლიან უსახურნი ცოდვათა ეტრატს და იგი ცოდვანი შეამძიმებენ სულს და მოაკლებების მას ძალი აღმაფრენისა. გარნა ანგელოსი კეთილი გადაშლის სახეს მის კეთილმოქმედებათა და კვლავ ჰაეროვან იქმნება სული და შემძლებელ თანაპკევებოდეს წინამდლვარს, ვიდრემდის მიგა სავანეთა ზეციურის მეუფისა და იხილავს ნოთელსა მას მხიარულს და მისთა ელვათა კრთომას სანატრერს.

თვალშინ წარმოუდგა ქალს, როგორის სასოებით ემზადებოდა ხოლმე პაპა მისი წირვისათვის. თითონ რომ ემზადებოდა ლოცვითა და მარხვით, თავის შვილსაც, მარინეს მამას, თავისთან აღლცებდა და ამარხულებდა, თუმცა ის მხოლოდ დიაკვანი იყო მაშინ, თავისი მამის მედავითნე. მთელი ოჯახი გაკრძალული იყო ხოლმე, რომ არ შეეშალათ წესი მოძღვრისათვის, არ დაერღვიათ მისთვის უამი ვედ-




ଝୁ-କ୍ରିପ୍ତେଶ କହାଣୀଙ୍କ  
(ଲାକ୍ଷ୍ମିନାନୀ)



## ჯ.-კ. ლევან ფეიქრიშვილი (დაჭრილია)



## ଶ୍ରୀ କୃତ୍ତବ୍ୟାତ୍ମକ ଦାରନାଦିଶ୍ଵିଲୀ (ପାଦକରୀ)



## ଖ.-୫. ପ୍ରାଚୀନ୍ୟ ତାତ୍ତ୍ଵାତ୍ମକ (ଲାଜୁରିଲାଙ୍ଗା)



## ፩-፳. በላማኑን ሂሳብ



პოლქ. ივანე ბასილიძე  
(დაჭრილია)



XIII-5. გიგო სარაჯიშვილი  
(დაჭრილია)

რეზისა, ან არ აქვთ რიცხვის სულის სიმშევიდე. უყვარს მარინეს პაპის გვერდზე ლოცვად დგომა. აგერ ფეხაქებით შევიდა მასთან, მუხლი მოიყარა მის გვერდზე და ლოცულობს. თან ოლარის ფოჩებს ათამაშებს, ღვთის მშობელისაც მოსწონს პატარის ლოცვა, ღვთისმშობლის ძევლის-ძევლ ხატს, მარტო თვალები და რომ მოსხანს ნახატიდან. მარინე თვალებში ატყობს ხატს, რომ უამება მას მისი ვედრება. პაპასც უამება თვისი პატარის იქ ყოფნა. განძრახმა მაღლა და გარკვევით მოჰყვა ლოცვების კითხვას.

— შეიწარე, დიდებულო დედოფალო ჩემო ღვთისმშობელო მარიამ, ვედრებით ჩემი; შენა ხარ ღვთისა მიმართ შუამდგომელი და ყოველთავე საქმეთა ჩემთა შენ მიგითხობ. შენ ხარ შემწე ჩემი, შენ ხარ მხსნელი ჩემი, შენ ხარ მფარველი ჩემი, შენდამი დამის ყოველი სასოება ჩემი. ფიტელთა სალმობათა და ვნებათაგან ბოროტა განვიცდები, შენ შემწეი, სულთა და ხორცია ჩენთა მეურნალო, ქალწულო მარიამ... ქალო მარიამ! მარინე! არ გესმის, ქალო?! გამოარკეთ ყურთასმენამ ხმა და თვალები ღია დარჩა ქალს.

— რა დაგვმართა, ქალო, რა ძილქუში დაგწოლია, რომ ლამის ხმა ჩაიხლით.

შერქვა მარინეს, რომ თავი ვერ შეიმაგრა ძილისაგან და დროშე არ გაულო კარი სამუშაოდან მომავალ კაცს; ხმა აღრ გასცა, თუმცა გული კი ატყინა მისმა მეაცრა სიტყვამ.

— არც შინ, არც გარედ, არა მაქეს არავითარი პატივი და სიხარული! შეუმაღლა მღვდელმა ხმა და მიაგდო კუთხეში კვერთხი.

— ნელა, ბეჩავ! ბალები არ დააღიძო. დღეს ძალიან დავილე სარეცხის რეცხით, ახლა საკერავი მქონდა და უნებლიერ ჩამინებია ცეცხლთა პირის, — უთხრა დიასხლისამ.

და ჩამოართვა სანაზილე და ოლარი. უნდოდა ეკითხნა მომაკვდავის ამბავი, ისიც უნდოდა ეთქვა ქმრისათვის, რა სახეები დაუსახა ოცნებამ ბურიანში წასულს, მაგრამ გაჩუმდა: იცოდა, რომ მევახედ უპასუხებდა კაცი, დასცინებდა, წააყველებდა განუითარებას, ცრუმორწმუნებისადმი მიღრეკილებას და გულს ატენდა ისეც გულნატკენს.

## 5.

გულს კი ადვილად ატენდა კაცი მარინეს, რადგან ნაზი გული ჰქონდა, თბილი, ჩილ გრძნობათათვის კარგალებული. რა ვუყოთ, რომ ქარი ხშირად უსაყველურებდა, გაუნათლებული ხარ, სოფლის გოვებთან გაზრდილი და რა გაგეგება მაღალი გრძნობებისა, ან დიდი აზრებისათ. არ ეთანხმებოდა ქალი განათლებულ ქმრის ესეთს მსჯელობას, თავის გუნებაში ვერ ეთანხმებოდა, თორებ პარში არას უბედავდა ვაუკაცს, უბრალოდ სიტყვასაც არ შაუბრუნებდა. დიდი აზრების შესახებ იქნება მართალიც იყო განვითარებული კაცი, თუმცა ქმრისაგან ნათქვამს ქალი ყოველთვის ლამაზად ითვალისწინებდა და აფასებდა; ხშირად კიდეც უსწორებდა მას მოსაზრებას, თუმცა ახირება არ უყვარდა მას შეგნებული ჰქონდა ქმრის საზოგადო შეხედულობაც ცხოვრებაზე და ყალბადაც მიაჩნდა იგი მისი თვალსაზრისი, ვერ შეპრივებოდა ქალი მოვლის აზრს და ქცევას მრავალ კერძო შემთხვევების შესახებაც. და არც გაუგებრობით მოსრიოდა ეს მარინეს, როგორც ეტყოდა ხომლე მას ქმრი. ხოლო გული მარინე ათასჯერ უფრო მოსიყვარულე ჰქონდა, სინა მის კაცს.

ქალს გაგიუებით უყვარდა ქმარ-შვილი და თავის ღჯახი, მხადი იყო აეტანა ყოველგვარი შრომა თუ ტანჯვა მათის კეთილდღეობისათვის; მათს სიკეთეში ჰქონდამდა თავის ნუეჭშ თუ სიამეს. და განა ეს კარგი გრძნობა არ იყო, ან მოსაწონი? სხვის გაჭირვება გულს უწყლევდა ქალს, სოფელში არც ერთი დაჩაგრული არ იყო, რომ თანაგრძნობით არ მოჰყურობდა და შეძლებისა გვარად ხელი არ აებყრო მისთვეს; რამდენჯერ ქმრის ჩუმად პური თუ სამოსი მიუწოდებია მშეირ-ტიტველისათვის. და განა ეს კეთილი საქმე არ იყო, ან განვითარებული გრძნობა უკეთეს რასმე მოიგონებდა? უყვარდა ქალს სოფელი და სხვანარად მოქცევა ვერ შეეძლო. გულებითი რომ იყო, თანაც გლეხობას თავისიანებადა სოვლიდა, რადგან ახლო იცნობდა სოფელს; იცოდა გლეხთა გულის პასუხი, მათი ცხოვრების აზრი, მათი სიხარულ-სიმიმილი. განა მხოლოდ სიტყვით იცოდა, ზეპირად, მოვალეობისა თუ მცნების ძალით. არა! აღზრდას და ცხოვრებას დაეხელოვებინა იგი ხალხთან და შეექმნა იგი მათთან ერთსული. და განა ეს კარგი საქმე არ იყო, ჰქონიანური ან მოსაწონი? მართლა და როგორ შეძლება აღმიანმა ცხოვრება ისე გაატაროს, მხოლოდ თავის თავს იცნობდეს, სულ თავისაკენ იწევდეს და სხვის არაფერო არგოს, არც არაფერო მიჰყერიოს!

— სხვანაირად ვერ მოვიქცევა! თუ საქმით არ ჩემისთვის ვუშველი ცხოვრებისაგან დაჩაგრულს და შევიწროებულს, ვიღო მაინც მისთვეს, რომ ხელი აღუცევის მას ყოვლად სახიერამ, — იტე და მარინე.

და ყოველ ღამ ლოცულობდა მხურვალედ. ღვთისმშობლი ავედრებდა თვის ღჯახს, თვის ნათესავობას, ნაცნობებს, ყველგრომის მეტების, მთელ საქრისტიანოს. როცა ქალს ცხოვრების სიღწირეში შეუმძიმებს ყოფას, ლოცვა ანუგეშებს და ამნენევებს მას, გულბობს, მოთმინებას ანიჭებს და ლმობიერებას. ის კი აღონებს რინეს, რომ მისი ქმარი არა ლოცულობს თავის სურვილით; არ ევ რება ღმერთს, არც ვის ავედრებს. ის მხოლოდ ეკლესის წესასრულებს: ლოცვებს მაშინ კითხულობს, როცა მოვალეობა ითხოვს ამის მისგან. ქალი თვის მამის სახლში არ იყო ჩვეული ამისთვის გულგრილობას და იმისთვის უკვირდა, ეს და არ მოსწონდა. პაპა დადა მორწმუნე ადამიანი ჰყვანდა და მლოცველი, მამაც მის კვაზე იყო შემდგარი.

გულებეთილი და ღვთისნიერი ღჯახიდან იყო მარინე, თუმციდი ღოვლითის უნარი თუ ბედი ვერ დაჳყოლოდა მის მამის სახე მარინეს მამა ეხლა მთა ვარ დიაკვანი იყო ჭალია შერთული. მახლებელ დაბაში მსახურებდა, სადაც დაბადებულიყო იგი და აღ ხრდოყო, სადაც მას ხელის გულის ტოლა საკუთარი ადგილიცა ჰქონდა და ქოხმახობა. მღვდლობას ვერ ელირსა, მაგრამ იმიტომ კი არ რომ ულირსი იყო და იმ წმიდა მოვალეობისათვის გამოუსადევგა არა, კარგი მოძღვარი დადგებოდა ის, მორწმუნე და ლმობიერი, მარა მიუწოდომელმა განგებამ ღვთისამ არ ინება მთლად დაახლოებიდა იგი ტრაპეზს თუ სამსპერვალოს: მიუწოდა უფალმან თვისთ მის მეულეს და სწორედ მაშინ, როდესაც მოძღვარობულება დეც წარადგინა ის მღვდლობაზე. მთაგრობამ ყურადღება მიაქცია მის სათხოებას, მის უმწიკვლო სამსახურს და მეტადრე მის მშვენერ თქმას კვერეკებისას და სახარების საგანგებო კითხვას. როდესაც მღვდელთმთავრისაგან ბრძანება მოვიდა, რომ გამოცხადებულ ყო მთავარი მღვდლად საკურთხებლად, ის უკვე დასტიროდა თავის მეულლეს. აკი დაატირა თავის მართას, ბრძანება მოვიდა ჩემ ხელთდასხმის შესახებათ; ქალილდიც კი ამიტომ უბიდან და დააბეტი ტყა მიცვალებულს, რომ უფრო მწვავე გაეხადნა თავისი საკველუ მეულლისადმი ესე უდროოდ ღალატისათვის. აღმართ გაიგებდა მის მართა მის გულის ტყივილს, მართას გვამი კი არა, უკვე გაყინულ-გვავებული, არამედ მისი სული, რომელიც ჯერ იქვე იყო და უხლავად დასტრიალებდა თავს დამბლებულ თვის ღჯახს: მიცვალებულის სული სამი დღე ისევ თავის ღჯახში არის, ისევ ეალერსე თავის საყვარელ დანამთენთ; მხოლოდ შემდეგ სტროებს გულის ტკილით თავის კერას და იწყობს სანელონ სვლას ჰქონდა შინა ტარისადმი ყოვლადმართლისა მეუფისა.

დარჩა პატარა ღჯახი იცრემლებულ-ატირებული, ვინ და იზრნებდა ბალების აღზრდაშისათვის? მარინეს ძმა მალე სასწავლებულიდა გამორისხეს, რადგან ხელი ვერ მიაღებენ მას წესიერად, და აგვიაკვნად არის განწერებული სადლაც შორ სოფელში. როდესაც მისიარდა მარინე, მისმა მამამ მთხვევა მიეროვა ქალი ეპარქიულ სასწავლებულში საეკლესიო ხარჯით, მაგრამ უარი მოვიდა: ნეტა იმდენ იყოს, აღმერები გამოვხარდოთ; მამა თავს აღგეხარ და თითონ შესძლებ მაგის გამოხრდასათ. მაგრამ როგორ უნდა აღწერადა? იდენი შეძლება არა ჰქონდა. პანიონში მიეცა ის თავის ხარჯით, გრედ კი ვერვის ანდობდა ბავშვს: უცხოს ხელში ხომ არ ჩაგდებდეს, განმე გადამოიეროს ხელში და ისიც ქალაქ აღგილს, სადა თურმე ერთობ სასტიკისა ხალხი, დახაციცებულ-დანატრულებული და ყოველგვარ არაშიმიღობით გატენილი. დარჩა მარინე სახლში. როდესაც მისიარდა მარინე, მისმა მამამ მთხვევა მიეროვა ქალი ეპარქიულ სასწავლებულში საეკლესიო ხარჯით, მაგრამ უარი მოვიდა: ნეტა იმდენ იყოს, აღმერები გამოვხარდოთ; მამა თავს აღგეხარ და თითონ შესძლებ მაგის გამოხრდასათ. მაგრამ როგორ უნდა აღწერადა? იდენი შეძლება არა ჰქონდა. პანიონში მიეცა ის თავის ხარჯით, გრედ კი ვერვის ანდობდა ბავშვს: უცხოს ხელში ხომ არ ჩაგდებდეს, განმე გადამოიეროს ხელში და ისიც ქალაქ აღგილს, სადა თურმე ერთობ სასტიკისა ხალხი, დახაციცებულ-დანატრულებული და ყოველგვარ არაშიმიღობით გატენილი. დარჩა მარინე სახლში. თითონ მამამ ასწავლა წიგნი და წერა, ლოცვა და სათხოება. ხელთსაჭმი მიხვდა ნათესავი ქალების დახმარებით. დიასახლისობასაც მალ შეეთვალისება; ჯარასავით ატრიალებდა თავის. მამის პატარა ღჯახი ნელ-ნელა გამოიჩრჩნა გოვონა და მოსაწონი ქალი დადგა, სანდონ და კეთილი.

(შემდეგი იქნება).

გ. ბარნოვი